მატჩის შემდეგ

ამაოდ ელოდნენ ჟურნალისტები მატჩის შემდეგ ტრადიციულ პრესკონფერენციას, რომელზეც მოასპარეზეთა მწვრთნელები ჩვეულებისამებრ აკმაყოფილებენ ხოლმე კორესპონდენტთა ცნობისმოყვარეობას, ასე ვთქვათ, თავისებურ რეზიუმეს უკეთებენ განვლილ ორთაბრძოლას... ლივერპულელთა მწვრთნელი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ერთნაირად ხვდება თავისი გუნდის მოგებასა თუ წაგებას, უბრალოდ არ გამოცხადდა "დინამოს" სტადიონის პრესის ოთახში.

ამიტომ იყო, რომ ჟურნალისტთა მთელი დივიზია დაიძრა სტუმართა გუნდის გასახდელისაკენ და მის მისადგომებთან განლაგდა.

კარგა ხანს ელოდნენ კორესპონდენტები პეისლის, მაგრამ კარის მიღმა ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

როგორც იქნა პეისლი გარეთ გამოვიდა და წამსვე მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა ალყაში მოექცა.

– რას იტყვით მატჩზე?

– თავის მართლების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. თქვენი გუნდის დახასიათებისთვის სიტყვები არ მყოფნის. ერთს კი ვიტყვი – ლივერპულში "დინამომ" სულ სხვანაირად ითამაშა, ვიდრე შინ. ეს ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი იყო...

ეს იყო და ეს – დამარცხებული გუნდის მწვრთნელი, მოღუშული და გაწბილებული, სწრაფი ნაბიჯით გაემართა სტუმართა გუნდისთვის განკუთვნილი ავტობუსისკენ.

– გამოგიტყდებით, მე მჯეროდა ჩვენი გამარჯვებისა! – უთხრა ჟურნალისტებს ნოდარ ახალკაცმა.

??

ლივერპულის "რადიო–სიტის" კორესპონდენტი სლაივ ტილდესლი სწრაფად იწერდა რაღაცას უბის წიგნაკში.

– ალბათ, მატჩის მიმოხილვაა, არა?

– დიახ, სიტყვა-სიტყვით ეს მიწერია: თბილისის "დინამო" ღირსია ევროპის ჩემპიონთა თასისა. რაც შეეხება "ლივერპულს", მეორე მატჩში იგი რამდენადმე

გადაღლილი გამოიყურებოდა ქვეყნის ჩემპიონატის ხშირი მატჩების (ყოველ 3–4 დღეში) ჩატარებისა და თბილისამდე საჰაერო მგზავრობის შემდეგ.

ინგლისელი რადიოჟურნალისტის კოლეგა გაზეთ "დეილი ექსპრესიდან" ჯონ კეიტი გაოცებას არ მალავდა:

– ვერაფრით ვერ დავიჯერებდი, რომ "ინგლისური" წვიმა თქვენი გუნდის მოკავშირე გახდებოდა. არც იმას ვიფიქრებდი, რომ ტრიბუნებიდან ასე "ეფექტურად" შეიძლება უქომაგო საყვარელ გუნდს. ვფიქრობ, რომ "დინამო" გავა ფინალში, მან ხომ თბილისში ნამდვილი "ცეკვა ბურთით" გვიჩვენა.

და ბოლოს კიდევ ერთი ინტერვიუ, აღებული ჩვენი სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე მატჩის შემდეგ. ჩვენი მოსაუბრე ჯიმ მაკდუგალი გამოდგა, 20 წლის ლივერპულელი სტუდენტი. თავისი გუნდის ერთგულ ქომაგს, მასაც "ლივერპულის" წითელ–თეთრი მაისური ეცვა, ზედ ტრადიციული ემბლემა რომ ამშვენებდა.

– მართალი გითხრათ, თბილისში ოპტიმისტური განწყობილებით ჩამოვედი, ჩვენი "დაუმარცხებელი" გუნდის დიდი იმედი მქონდა. თქვენმა "დინამომ" აშკარად უკეთ ითამაშა. გულშემატკივრებიც მართლაც თავგამოდებულნი გყოლიათ. სამი ბურთი! რეი კლემენსს საკუთრ კარში ამდენი ბურთი მგონი საერთოდ არ გაუშვია. ჩემი კერპი დალგლიში ამჯერად ყველაფერს ჰგავდა, გარდა ბომბარდირისა. ვერ "გამოასწორა" თამაში მეორე ტაიმში ფარკლაფის გამოსვლამ კეისის ნაცვლად. ვულოცავ ქართველ ფეხბურთელებს დამსახურებულ გამარჯვებას!

ო. ნოზაძე.

"ლელო", 6 ოქტომბერი, 1979 წ.